



საკადრო პოლიტიკის გამოწვევები საჯარო სამსახურში

გიორგი ლომსაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2018

აბსტრაქტი

საჯარო სამსახურის, გამჭვირვალე, ეფექტიან ფუნქციონირებასა და ანგარიშვალდებულებაზე, მის თანაბარ ხელმისაწვდომობაზე დგას სახელმწიფოს როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკის შემდგომი განვითარება.

ძველი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ვერ უზრუნველყოფდა საჯარო სამსახურის, როგორც ერთიანი სისტემის, გამართული, ეფექტიანი და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი სისტემის შექმნას. კანონმა ასევე ვერ შეძლო საჯარო მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ამასთანავე, ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიანი საჯარო სამსახური, რადგან, როგორც მინიმუმ, არ არსებობდა საჯარო მოხელის შეფასების სისტემა, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს სისტემური პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და რეფორმების დაგეგმვის კუთხით. სწორედ ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა დღის წესრიგში დააყენა რეფორმის აუცილებლობის საკითხი და საჯარო უფლებამოსილების განხორციელების იმგვარი მოდელის დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება კარიერულ წინსვლაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობაზე, აგრეთვე, ანგარიშვალდებულებასა და ერთიანი საჯარო სამსახურის, სისტემურ ჩამოყალიბებაზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით მოიმატა საზოგადოების საპროტესტო ტალღამ საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის ნეპოტიზმის, კორუფციისა და სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების პრობლემატიკაზე, სწორედ ამ ფაქტორებმა მისცეს ბიძგი სფეროს რეფორმირების პროცესს. რეფორმის გატარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით გათვალისწინებულმა იმ საერთაშორისო ვალდებულებებმა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფომ იკისრა საჯარო სამსახურის გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით.

აუცილებელია კარიერულ წინსვლაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ოპერირებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საჯარო სამსახურის მნიშვნელობა და აქტუალობა საქართველოს რეალობასთან მიმართებაში, ხაზი გაუსვას საქართველოში არსებულ მდგომარეობას კანონმდებლობის თვალსაზრისით და შესაბამისად დაასაბუთოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოსთვის საჯარო სამსახურის რეფორმირება. საჯარო სამსახურში არსებული პრობლემების კვლევა, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებისა და საშუალებების შემუშავება, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოქნილი და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა. საჯარო სამსახურის რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში გულისხმობს სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას, სადაც არ იარსებებს მიკერძოებულობა, კორუფცია, ნეპოტიზმი. გამართული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბება თავისმხრივ გახდება საფუძველი მოსახლეობის ნდობის ამაღლების საჯარო სტრუქტურებისადმი.

ABSTRACT

On transparency, effective function and accountability of the public service since on its equal availability stands further development of a State's internal and external economy.

The old law *On Public Service* was not able to provide means for creation a system that would be united, effective, working and free from the political influence. The law was not able to establish the united system of the public service governing as well. Moreover, it could not establish effective public service because as minimum there was not a public worker estimation system that generally represents the fundamental ground from the point of systematic problems identification, their analyzing and reform planning. The very circumstances, mentioned above, caused the necessity of reforms to be put on the Agenda as well as implementation of such a public authorization model that will be oriented on the career advance, political neutrality, impartiality, accountability and systematic establishing the united public service.

It worth mentioning that in resent years the public protest about transference, nepotism, corruption and ungrounded dismissal from the positions at the public services

have especially increased. Consequently, these very factors generated the field reforming process. The reform enforcement was significantly supported by the *Association Agreement* signed between Georgia and the EU wherein Georgia assumed the considered obligations of the Agreement Agenda in the direction of the public service transference, independent, impartial system establishment.

It is essential to establish the united public service that will be oriented in the career advance, honesty, political neutrality, impartiality, accountability and stability. Furthermore, its effective operation requires creation of the legal basis.

The goal of this paper represents to demonstrate the importance of public service and its significance relative to the reality of Georgia as well as to underline the existing situation from the legislation viewpoint and consequently prove how much it is necessary the reformation of public service for our State; the research of the current problems, errors and faults. Moreover, finding the ways and means to eliminate and correct them. Preparation of the corresponding recommendations.

For Country's further development it is essential to establish flexible and effective public service which will ensure encouragement and assistance of professionalism. In the long-term perspective, the public service means further improvement of the legal and institutional environment wherein partiality, corruption and nepotism will not take place. Establishment of the working and transparent public service itself will serve as a ground for increasing trust among citizens towards the public service institutes.